საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/02

25 იანვარი, 2021 წ.

ქ. ბათუმი

2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბსუ-ში გადმოსვლის (გარე მობილობა) ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესი“–ს, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს მე-5 მუხლის, სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2020 წლის 24 დეკემბრის №1.1/141 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. **2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბსუ-ში გადმოსვლისათვის (გარე მობილობა) განისაზღვროს შემდეგი ვადები:**

ა) დოკუმენტაციის მიღება ელექტრონულად ბსუ-ს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე - info@bsu.edu.ge - 2021 წლის 12, 13, 14 თებერვალი (წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე -bsu.edu.ge, განცხადებების ველში);

ბ) კრედიტების აღიარება - 2021 წლის 15 თებერვალი;

გ) კრედიტების აღიარების დასკვნაზე ბსუ-ში ჩარიცხვის მსურველთა თანხმობის (განცხადებების) მიღება - 2021 წლის 16, 17 თებერვალი (თანხმობის წარმოდგენის ფორმატისა და ადგილის შესახებ ინფორმაცია განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე - bsu.edu.ge, განცხადებების ველში);

დ) ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში გაგზავნა - 2021 წლის 19 თებერვალი.

2. დაევალოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს:

ა) ბსუ-ს ვებგვერდზე განსათავსებელი ინფორმაციის (წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალის მითითებით) მომზადება და ბსუ-ს ვებგვერდზე - bsu.edu.ge, განცხადებების ველში განთავსებისათვის ბსუ-ს ვებგვერდის ადმინისტრირების წესის შესაბამისად წარმოდგენა;

ბ) უზრუნველყოს მობილობის პროცესის დისტანციურ რეჟიმში, ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით განხორციელება, ხოლო ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში სტუდენტთა გონივრულ ვადაში ინფორმირების გზით, უზრუნველყოფილი იქნეს მათი დაშვება ბსუ-ს შენობაში, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი მითითებების/რეკომენდაციების დაცვით;

გ) მობილობის პროცესის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით წარმართვა და კოორდინირება.

4. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსება.

5. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე.

6. წინამდებარე ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სამსახურებს, ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს).

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**